



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
TELAVI MUNICIPALITY COUNCIL



განკარგულება:გ-27.27220882

თარიღი:29/03/2022

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 18**

**29 მარტი 2022 წ.**

**ქ. თელავი**

**„თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 106<sup>1</sup> მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად,

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება **თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“** - ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებასთან დაკავშირებით.
2. დაევალოს საკრებულოს აპარატს გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.
3. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში და ფრაქციებში **თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“** - ნორმატიული აქტის პროექტის განხილვა განხორციელდეს 2022 წლის 20 აპრილამდე.
4. **თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“** - დადგენილების პროექტი საკრებულოს წარედგინოს დასამტკიცებლად - 2022 წლის 01 მაისამდე.
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

თენგიზი მთვარელიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

